წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ბიუროს სხდომის

ოქმი N1

ქ. წალკა; 10.01.2022 წ.

სხდომას თავმჯდომარეობდა: წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ირაკლი გიგინეიშვილი

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:

წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე გოჩა ხაჩატურიან, წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ავთანდილ ვანაძე, წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე რადიკ სარკისიან, სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ანტარამ მელტონიან, ქონების მართვის და ბუნებრივი რესურსები საკითხების კომისიის თავმჯდომარე ლევონ მარკოსიან, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე მელიტონ პაკელიანი, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე ნუგზარ ჩამურლიევი, ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"-ს თავმჯდომარე ჯემალ ბერიძე, ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" თავმჯდომარე მალხაზ მგელაძე.

(რეგისტრაციის სია თან ერთვის);

სხდომა დაიწყო: 15:00 საათზე;
სხდომა დასრულდა: 15:40 საათზე;

დღის წესრიგი:

1. დადგენილების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის №32 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

2. დადგენილების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, კულტურისა და სპორტის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ";

3. დადგენილების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის №33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

4. დადგენილების პროექტი „2022 წელს წალკის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ";

5. დადგენილების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, გარდა საკრებულოს თანამდებობის პირისა, უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ" წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 2 ივლისის №31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

6. მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მართვის ეფექტიანობის შესახებ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანგარიშის განხილვა;

7. ფრაქცია „ერთობა წალკისთვის" დაფუძნების ცნობად მიღება;

8. ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო"-ში ახალი წევრების მიღების და ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილის არჩევის ცნობად მიღება.

9. მუნიციპალიტეტის საკრებულოს ორგანოებში ფრაქციათა პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების დამტკიცება;

10. საკრებულოს კომისიების შემადგენლობაში ცვლილებების შეტანის ცნობად მიღება.

სხდომამ განიხილა:

1. სხდომის თავმჯდომარემ ირაკლი გიგინეიშვილმა ბიუროს წევრებს მოახსენა, რომ წალკის მუნიციპალიტეტის მერიიდან ბიუროზე განსახილველად წარმოდგენილია დადგენილების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის №32 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ; ბიურომ ღია კენჭისყრით (10 მომხრე, 0 წინააღმდეგი) გადაწყვიტა: დაევალოს წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიას და საკრებულოს ფრაქციებს სხდომებზე განიხილონ აღნიშნული დადგენილების პროექტი და არაუგვიანეს მ/წლის 24 იანვრის საკრებულოს ბიუროს მორიგი სხდომისთვის წარმოადგინონ შესაბამისი დასკვნები;

2. სხდომის თავმჯდომარემ ირაკლი გიგინეიშვილმა ბიუროს წევრებს მოახსენა, რომ წალკის მუნიციპალიტეტის მერიიდან ბიუროზე განსახილველად წარმოდგენილია დადგენილების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, კულტურისა და სპორტის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ"; ბიურომ ღია კენჭისყრით (10 მომხრე, 0 წინააღმდეგი) გადაწყვიტა: დაევალოს წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიას და საკრებულოს ფრაქციებს სხდომებზე განიხილონ აღნიშნული დადგენილების პროექტი და არაუგვიანეს მ/წლის 24 იანვრის საკრებულოს ბიუროს მორიგი სხდომისთვის წარმოადგინონ შესაბამისი დასკვნები;

3. სხდომის თავმჯდომარემ ირაკლი გიგინეიშვილმა ბიუროს წევრებს მოახსენა, რომ წალკის მუნიციპალიტეტის მერიიდან ბიუროზე განსახილველად წარმოდგენილია დადგენილების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის №33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ; ბიურომ ღია კენჭისყრით (10 მომხრე, 0 წინააღმდეგი) გადაწყვიტა: დაევალოს წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიას და საკრებულოს ფრაქციებს სხდომებზე განიხილონ აღნიშნული დადგენილების პროექტი და არაუგვიანეს მ/წლის 24 იანვრის საკრებულოს ბიუროს მორიგი სხდომისთვის წარმოადგინონ შესაბამისი დასკვნები;

4. სხდომის თავმჯდომარემ ირაკლი გიგინეიშვილმა ბიუროს წევრებს მოახსენა, რომ წალკის მუნიციპალიტეტის მერიიდან ბიუროზე განსახილველად წარმოდგენილია დადგენილების პროექტი „2022 წელს წალკის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ"; ბიურომ ღია კენჭისყრით (10 მომხრე, 0 წინააღმდეგი) გადაწყვიტა: დაევალოს წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიებს და საკრებულოს ფრაქციებს სხდომებზე განიხილონ აღნიშნული დადგენილების პროექტი და არაუგვიანეს მ/წლის 24 იანვრის საკრებულოს ბიუროს მორიგი სხდომისთვის წარმოადგინონ შესაბამისი დასკვნები;

5. სხდომის თავმჯდომარემ ირაკლი გიგინეიშვილმა ბიუროს წევრებს მოახსენა, რომ ბიუროზე განსახილველად წარმოდგენილია დადგენილების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, გარდა საკრებულოს თანამდებობის პირისა, უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ" წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 2 ივლისის №31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ; ბიურომ ღია კენჭისყრით (10 მომხრე, 0 წინააღმდეგი) გადაწყვიტა: დაევალოს წალკის მუნიციპალიტეტის მერიას განიხილოს აღნიშნული დადგენილების პროექტი და თავისი წინადადებები, მოსაზრებები და შენიშვნები წარმოადგინონ საკრებულოს აპარატში არაუგვიანეს მ/წლის 21 იანვრისა. დაევალოთ საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას და საკრებულოს ფრაქციებს სხდომებზე განიხილონ აღნიშნული დადგენილების პროექტი და არაუგვიანეს მ/წლის 24 იანვრის საკრებულოს ბიუროს მორიგი სხდომისთვის წარმოადგინონ შესაბამისი დასკვნები;

6. სხდომის თავმჯდომარემ ირაკლი გიგინეიშვილმა ბიუროს წევრებს მოახსენა, რომ საკრებულოში შემოსულია მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მართვის ეფექტიანობის შესახებ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანგარიში; ბიურომ ღია კენჭისყრით (10 მომხრე, 0 წინააღმდეგი) გადაწყვიტა: დაევალოს საკრებულოს კომისიებს და ფრაქციებს სხდომებზე უზრუნველყონ მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მართვის ეფექტიანობის შესახებ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანგარიშის გაცნობა და განხილვა;

7. სხდომის თავმჯდომარემ ირაკლი გიგინეიშვილმა ბიუროს წევრებს მოახსენა, რომ ბიუროს დღის წესრიგით გათვალისწინებულია ფრაქცია „ერთობა წალკისთვის"

დაფუძნების ცნობად მიღება რის შემდეგადაც ბიუროს გააცნო საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის დადებითი დასკვნა ფრაქცია „ერთობა წალკისთვის" დაფუძნების შესახებ; ბიურომ ღია კენჭისყრით (10 მომხრე, 0 წინააღმდეგი) გადაწყვიტა: „წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკისების შესახებ" წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N6 დადგენილების 35-ე მუხლის მე-11 პუნქტის თანახმად, ახალი ფრაქციის შექმნის საკითხი შეტანილ იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომის დღის წესრიგში და განხილულ იქნეს რიგგარეშედ;

8. სხდომის თავმჯდომარემ ირაკლი გიგინეიშვილმა ბიუროს წევრებს მოახსენა, რომ ბიუროს დღის წესრიგით გათვალისწინებულია ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო"-ში ახალი წევრების მიღების და ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილის არჩევის ცნობად მიღება. რის შემდეგაც საკრებულოს ბიუროზე ცნობად იქნა მიღებული აღნიშნული ცვლილება;

9. სხდომის თავმჯდომარემ ირაკლი გიგინეიშვილმა ბიუროს წევრებს მოახსენა, რომ ბიუროს დღის წესრიგით გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის საკრებულოს ორგანოებში ფრაქციათა პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების დამტკიცება, რის შემდეგადაც ბიუროს გააცნო საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის დასკვნა, ბიურომ ღია კენჭისყრით (10 მომხრე, 0 წინააღმდეგი) „წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N6 დადგენილებით დამტკიცებული წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის ბ[1] ქვეპუნქტის თანახმად დაამტკიცა საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის მიერ განსაზღვრული და წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის საკრებულოს თითოეულ კომისიაში ფრაქციათა პროპორციული წარმომადგენლობის კვოტები შემდეგნაირად: ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო" - ცხრა წევრი, ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" - სამი წევრი, ფრაქცია „ერთობა წალკისთვის" - ორი წევრი.

10. სხდომის თავმჯდომარემ ირაკლი გიგინეიშვილმა ბიუროს წევრებს მოახსენა, რომ ბიუროს დღის წესრიგით გათვალისწინებულია საკრებულოს კომისიების შემადგენლობაში ცვლილებების შეტანის ცნობად მიღება რის შემდეგაც გააცნო აღნიშნული ცვლილებები. „წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკისების შესახებ" წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N6 დადგენილების მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის ბ[2] ქვეპუნქტის თანახმად ბიურომ ცნობად მიიღო საკრებულოს კომისიების შემადგენლობაში შეტანილი ცვლილებები.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე *ი.გიგინეიშვილი*